ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი 30 ოქტომბერი 2013 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №91

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ„ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად:

მუხლი 1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოწონებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (საკრებულოსა და გამგეობის) მიერ შემუშავებული საპროექტო წინადადებები. (საპროექტო წინადადებები თან ერთვის დანართის სახით).

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ლაჩხუთის, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ავთანდილ სურგულაძე**

Created by free version of DocuFreezer